ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N2

ქ.თბილისი 7 დეკემბერი, 2021 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე	აკაკი ალადაშვილი
ლევან არველაძე	თორნიკე ბიკაშვილი
ვლადიმერ ბოჟაძე	საბა ბუაძე
ოთარ გრიგოლია	შოთა გრიგოლია
მამუკა გუგეშაშვილი	ლევან დავითაშვილი
ირაკლი ეძგვერაძე	ნინო ვარდოსანიძე
კონსტანტინე ზარნაძე	მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე	მიხეილ კაკაურიძე
ნიკოლოზ კახეთელიძე	ნინო კვიტაიშვილი
ზვიად კუპრავა	კახაბერ ლაბუჩიძე
ლილე ლიპარტელიანი	ნათია მოდებაძე
ირაკლი ნადირაძე	შალვა ოგბაიძე
გიორგი ონიანი	გურამ ოქროპირიძე
ლევან ჟორჟოლიანი	ალექსანდრე რატიშვილი
ნინო რუხაძე	რევაზ სოხაძე
გიორგი შარაშიძე	გიორგი ჩაკვეტაძე
ზურაბ ჩიკვილაძე	გივი ჩხარტიშვილი
ავთანდილ ცინცაძე	ირაკლი ხელაძე
ალექსანდრე ხუჯაძე	ლევან ჯაფარიძე
სოფიო ჯაფარიძე	ბარბარა ჯიმელი სულაშვილი

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) და მოადგილეების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგეების თანამდებობებზე წარდგენილი კანდიდატები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) და მოადგილეების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლების თანამდებობებზე წარდგენილი კანდიდატების დანიშვნაზე თანხმობის მიცემის საკითხები და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე ირაკლი ხმალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ირაკლი ბენდელიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ილია ელოშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსი) თანამდებობაზე ვლადიმერ ჭიღლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვახტანგ ლომჯარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე კახაბერ გულედანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო

სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი აბუთიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე სერგო ბირკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გაიოზ თალაკვაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი პაპავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გელა ჩივიაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭონქაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით უთმელიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ვლადიმერ ძნელაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კვინიკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ნიკა ელისაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბექა მიქაუტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კირკიტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ირაკლი ანდღულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე გაიოზ ვასაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელი: კახა კალაძე

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

გიორგი ტყემალაძემ იმედი გამოთქვა, რომ მიმდინარე სხდომა ორიენტირებული იქნება ჩვენი ქალაქისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

კახა კალაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ დღეს საკრებულოს სხდომაზე იმყოფებიან ის ადამიანები, ვისაც თბილისელება ანდეს ქალაქის მართვა მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, რისთვისაც მადლობა გადაუხადა თითოეულ ამომრჩეველს. კახა კალაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შემადგენლობა, ისაუბრა ოთხი წლის განმავლობაში განხორციელებულ პროექტებზე და სამომავლო გეგმებზე. მისი თქმით, თბილისს სიცოცხლეს სძენენ არა მხოლოდ ისტორია და გასაოცარი კულტურული თუ არქიტექტურული მემკვიდრეობა, არამედ მთელი ქალაქის მასშტაბით, სხვადასხვა უბანში გაფანტული ადამიანები და ჩვენ ვალდებულები ვართ მათი საცხოვრებელი გარემო გავხადოთ სოციალურად უფრო მეტად უზრუნველყოფილი, უფრო ჯანსაღი, უფრო კომფორტული და სიცოცხლით სავსე. „მეტი სიცოცხლე ყველა უბახში" არ არის მხოლოდ სიტყვები, ეს არის კონკრეტული ხედვა, თუ როგორ მიგვაჩნია ჩვენ თბილისის განვითარება და როგორ წარმოგვიდგენია ჩვენი დედაქალაქი ოთხი წლის შემდეგ. განაცხადა, რომ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში, მან და მისმა გუნდმა, თბილისელებთან ერთად, უამრავი, ქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელეს: მიღებული იქნა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რაც ქაოტური განაშენიანების დასასრულისა და თბილისის ევროპული ტიპის ქალაქად ქცევისთვის ჩაყრილი საძირკველი იყო; ამავდროულად, დაწესდა ახალი სამშენებლო რეგულაციები და სტანდარტები - ყველა მშენებლობისთვის სავალდებულო გახდა დენდროლოგიური და სატრანსპორტო პროექტის წარდგენა; განახლდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი - შემოყვანილი იქნა თანამედროვე, ევროპული ტიპის, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსები, დაიწყო მიკროავტობუსების პარკის სრულად განახლების პროექტი, განხორციელდა მეტროს მოდერნიზაცია და ეკომეგობრული ტრანსპორტის ხელშემწყობი პროექტები; რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1000-მდე სკვერს, 15 პარკს და დამატებით კეთდება 5 ახალი პარკი; შეიქმნა ახალი მწვანე სივრცეები, მათ შორის 100 ჰექტარი მწვანე კუნძული; გენერალური გეგმით, თბილისს შეემატა 138000 კვ.მ. სატყეო ზონა და 4000000 კვ.მ. მწვანე სივრცე; დაირგო 300000-ზე მეტი ხე; განხორციელდა მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები და სხვადასხვა უბანში ფუნდამენტურად განახლდა კომუნიკაციები; ბიუჯეტმა, პირველივე წელს გადააჭარბა მილიარდ ლარს და ოთხი წლის განმავლობაში მუდმივად იზრდებოდა, რამაც თბილისის მთავრობას მისცა შესაძლებლობა არა მხოლოდ განეხორციელებინა ზემოთ ჩამოთვლილი პროექტები, არამედ გაეფართოვებინა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები - დაკმაყოფილებული იქნა თბილისელების ორ მილიონზე მეტი მოთხოვნა. მისი თქმით, მან და მისმა გუნდმა, გლობალური პანდემიის გათვალისწინებით, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ შეეცვალათ არსებული რეალობა და თბილისი ყოფილიყო უფრო მწვანე, ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე. კახა კალაძემ განაცხადა, რომ დღეს ჩვენი ქალაქი უფრო სიცოცხლით სავსეა, ვიდრე ოთხი წლის წინ იყო, თუმცა, გაკეთებული საქმეების მიუხედავად, ვერავინ იქნება კმაყოფილი მანამ, სანამ ჩვენს ქალაქში თუნდაც ერთ ოჯახს უჭირს და სანამ თბილისი, ყველა მიმართულებით, არ გაუტოლდება წამყვან ევროპულ ქალაქებს. მისი თქმით, თბილისის მთავრობას მომავალშიც ბევრი პრობლემის და გამოწვევის დაძლევა მოუწევს, თუმცა, მას და მის გუნდს აქვს ქალაქის განვითარების რეალური ხედვა და რესურსი, რომ აღმოიფხვრას არსებული პრობლემები. 2022 წლიდან დაგეგმილია: ქალაქის მასშტაბით არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გარდა) ჩანაცვლება და განახლება თანამედროვე, უსაფრთხო ქართული არქიტექტურით; არცერთი თბილისელი ოჯახი არ უნდა დარჩეს უსახლ-კაროდ და თითოეულ მათგანს გადაეცეს საცხოვრებელი ფართი; ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების პროგრამა, რაც, ასევე, მოაგვარებს ქალაქში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების პრობლემას; ჭკვიანი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის მეშვეობით, ყველას ექნება კომფორტული და სწრაფი გადაადგილების შესაძლებლობა - იქმნება 10 სატრანსპორტო დერეფანი და

განხორციელდება ყველა ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ერთიან სისტემაში სინქრონიზაცია; თბილისს დაემატება კიდევ 200 ახალი ავტობუსი, რაც შეამცირებს ავტობუსების მოცდის დროს; მეტროს დაემატება ახალი ვაგონები; დაინერგება სატრანსპორტო სისტემის ერთიანი სააბონენტო სისტემა; მოეწყობა ახალი საბაგირო გზები და 515 კილომეტრი ველობილიკი; განხორციელდება ტაქსების რეფორმის მესამე ეტაპი, რაც განაპირობებს ქალაქის სატრანსპორტო სისტემის საბოლოო შეკვრას. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში დაგეგმილია მინიმუმ 15 პარკის მოწყობის განხორციელება და მინიმუმ 300 ჰექტარი დეგრადირებული ტყის აღდგენა. მისი თქმით, ძველი თბილისი ქალაქის „სავიზიტო ბარათია“ და ამ მიმართულებით დაგეგმილია მასშტაბური პროექტების განხორციელება: გორგასლის ქუჩაზე ავტომაგისტრალის მიწისქვეშ გადატანა და გორგასლის ბულვარის გაშენება 9 ჰექტარ ტერიტორიაზე; რეაბილიტაცია ჩაუტარდება ნარიყალას ციხეს, ბარათაშვილის გალავანს, სულხან-საბასა და ინგოროყვას ქუჩებს, განახლდება აღმაშენებლის გამზირის მიმდებარე ბაღები. სოციალური და ჯანდაცვის კუთხით, დაგეგმილია შესაბამისი პროგრამების გაფართოვება, მათ შორის, ონკომედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა, სკრინინგის პროგრამები, შშმ პირთა პერსონალური დახმარების სერვისები და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის სრულად დაფინანსდება მაღალტექნოლოგიური კვლევები. 2022 წლიდან ამოქმედდება მედიკამენტებისთვის განკუთვნილი 500 ლარიანი წლიური ვაუჩერი თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი პენსიონერებისთვის. ახალგაზრდობის, სპორტის, განათლებისა და კულტურის მიმართულებით დაგეგმილია 10 მულტიფუნქციური ახალგაზრდული ცენტრის პროექტის განხორციელება, რომელთაგან ორი პროექტის განხორციელება უკვე მიმდინარეობს. ასევე, დაგეგმილია ახალგაზრდული, მრავალფუნქციური სოფლის მშენებლობა კოჯორში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების მოდერნიზება, ციფრული ჰაბების მოწყობა, რვა ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია, მრავალშვილიანი ოჯახებისა და შშმ ახალგაზრდების დაფინანსება, მუზეუმების, სახლ-მუზეუმებისა და სახელოვნებო სკოლების რეაბილიტაცია, სახელოვნებო ჰაბების მოწყობა დენდროლოგიურ პარკში, სკეიტ-პარკებისა და სხვა გასართობი სივრცეების მოწყობა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამაა სოციალურად დაუცველი წარმატებული სტუდენტების დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც 7000-მდე სტუდენტი დაფინანსდება მომდევნო წლების განმავლობაში. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ მას თბილისისთვის არა უბრალოდ კარგი, ყველაფერი მხოლოდ საუკეთესო უნდა და დაგეგმილი პროექტები არის შესაძლებლობა, რომ თბილისში, ყველა მიმართულებით, უკეთესობისკენ შეიცვალოს ვითარება და ჩვენი დედაქალაქი ყველაზე ლამაზ, მწვანე, საინტერესო, მოწესრიგებულ და სიცოცხლით სავსე ქალაქად იქცეს და მიმართა დამსწრე საზოგადოებას - „მე გულწრფელად მჯერა, რომ დასახული მიზნების კიდევ უფრო სწრაფად და ეფექტურად განხორციელება მხოლოდ ერთობით, პოლარიზაციის ხარისხის შემცირებითა და საბოლოოდ მისი დასრულებით არის შესაძლებელი. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის შორეული თუ უახლესი ისტორია, აწმყო და მომავალი გვიჩვენებს, რომ ყოველთვის, როდესაც ერთად ვდგებით, შეუძლებელსაც კი ვაღწევთ. ამიტომ, მინდა, ყველას წარმატებები გისურვოთ და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ერთიანი ძალისხმევით, ერთიანი შესაძლებლობებით შევძლებთ, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ამ ქალაქში აღმშენებლობა და განვითარება იყოს შეუქცევადი“.

გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა კახა კალაძეს წარმოდგენილი მოხსენებისთვის, მიულოცა არჩევნებში გამარჯვება და აღნიშნა, რომ თბილისის მთავრობის წარმოდგენილ შემადგენლობას ექნება საკრებულოს უმრავლესობის მხარდაჭერა, რადგან ეს არის გუნდი, რომელმაც, ოთხი წლის განმავლობაში, საკრებულოსთან ერთად, შეძლო და განახორციელა იმგვარი პროექტები, რომლებმაც მოიტანა 2021 წლის არჩევნებში თბილისელების მხარდაჭერა. გიორგი ტყემალაძემ კომენტარი გააკეთა ოპოზიციის მხრიდან გაკეთებულ განცხადებებზე, თითქოს, ამ წლების განმავლობაში, არაფერი გაკეთებულა და აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ვიყოთ თვითკმაყოფილების რეჟიმში და არ შეიძლება თვალი არ გავუსწოროთ იმ რეალობას, რომ დღეს ქალაქში კიდევ ძალიან დიდი გამოწვევებია, თუმცა, იმაზე საუბარი, რომ არაფერი გაკეთებულა, არაობიექტურია, რადგან რადიკალურად განსხვავებულია

საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ზოგადად, სატრანპორტო პოლიტიკა ქალაქში ვიდრე ეს იყო ოთხი წლის წინ. ასევე, აბსოლუტურად შეცვლილია ურბანული პოლიტიკა, ჯანდაცვის კუთხით დაინერგა ახალი პროგრამები და სხვადასხვა მიმართულებით განხორციელდა არაერთი რეფორმა, რომელიც ემსახურება ჩვენი ქალაქის და თანამოქალაქეების კეთილდღეობაზე ზრუნვას. საუბრის ბოლოს, გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს, თბილისის მთავრობას და მეექვსე მოწვევის საკრებულოს თითოეულ წევრს გასული ოთხი წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისთვის და განაცხადა - „დარწმუნებული ვარ, ერთობლივად, ჩვენ, დღეს, დავამტკიცებთ იმას, რომ შეგვიძლია მომავალი ოთხი წელი იყოს კიდევ უფრო წარმატებული“.

საკრებულოს წევრებმა კითხვებით მიმართეს კახა კალაძეს.

ალექსანდრე რატიშვილმა აღნიშნა, რომ გაუგებარია, როგორ შეიძლება თბილისში არსებობდეს ავტოსადგური „ოკრიბა“, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და ასევე, ორთაჭალაში არსებული ავტოსადგური და დაინტერესდა, რა იგეგმება ამ მიმართულებით. აქვე აღნიშნა, რომ წლებია შეჩერებულია რკინიგზის გატანის პროექტი, რაც მისი აზრით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და დაინტერესდა, რა სირთულეებია ასეთი, რომ წლებია, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, ვერ ხერხდება ამ საკითხის გადაჭრა. ალექსანდრე რატიშვილმა ისაუბრა ვარკეთილის მეტროსადგურში მომხდარ ინციდენტზე, განაცხადა, რომ, მისი ინფორმაციით, კომპანიამ, რომელმაც ხსენებულ მეტროში უპასუხისმგებლოდ შეასრულა სარემონტო სამუშაოები, გაიმარჯვა კიდევ არაერთ ტენდერში და დაინტერესდა, სიმართლეა თუ არა მის ხელთ არსებული ინფორმაცია, დაისაჯა თუ არა ვინმე ვარკეთილის მეტროში მომხდარი ინციდენტის გამო, თბილისის ბიუჯეტმა მიიღო თუ არა ფინანსური სახის კომპენსაცია და ამ კომპანიას აქვს თუ არა უფლება ქალაქში ჩასატარებელ სხვადასხვა სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერებში მიიღოს მონაწილეობა.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ კახა კალაძემ, თავისი მერობის პერიოდში, სესხით იყიდა ორასზე მეტი ავტობუსი და მოიპარა სამოცი მილიონი ლარი; მის ნათელ-მირონ წულაიას, ვარკეთილში, მესამე მასივში, თექვსმეტი მილიონი ლარის ქონება გადასცა ერთ ლარად; მის მეგობარ ბექა ოდიშარიას ორასი ათასი ლარის ქონება გაუცვალა ხუთმილიონიან ქონებაში; კომოს ტბის ძმაკაცებს გადასცა „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ ოცდათხუთმეტმილიონიანი ფინანსები; შეიძინა მილანური ნამვის ხე, მილანური განათებები, მილანური ნაგვის ურნები, მილანური სკამები, მილანური ბუჩქები და ხეები, საბავშვო საქანელები; შეგვპირდა, რომ დიღმის ჭალებში მოეწყობოდა დიდი საქალაქო პარკი, თუმცა, დღეს, ამ ტერიტორიაზე მოწყობილია ეკოციდი, რადგან იქ ივანიშვილის დის შვილი მოიპოვებს სამშენებლო კარიერს და ფაქტობრივად განადგურებულია ყველაფერი; აფრიკაში დაანგრია გაჭირვებული ხალხის საცხოვრებელი სახლები, თუმცა, რეაბილიტირებული ორბელიანის მოედნის გახსნისას, ვერ შეამჩნია ბიძინა ივანიშვილის უკანონო მშენებლობა და დაინტერესდა: რამდენი მილიონი ლარის მოპარვას აპირებს მომავალ წელს ავტობუსების შესაძენად გამოცხადებული ტენდერიდან? კიდევ რამდენი მილიონი ლარის ქონება უნდა გადასცეს ერთ ლარად მის ნათელ-მირონებს? კიდევ რამდენი მილიონი ლარი უნდა მისცეს მის ძმაკაცებს? კიდევ რამდენი მილიონი ლარი უნდა გაზიდოს თბილისის ბიუჯეტიდან მილანში? როდემდე აპირებს გამწვანების და რეკრეაციული ზონების სანაცვლოდ აშოვნინოს ფული ბიძინა ივანიშვილის დის შვილებს, ძმის შვილებს და ნათესავებს? როდემდე აპირებს გააგრძელოს თვალების დახუჭვა ბიძინა ივანიშვილისთვის და მისი ნათესავებისთვის? საუბრის ბოლოს, ირაკლი ნადირაძემ მიმართა კახა კალაძეს - „მაინტერესებს, სამართლიანია, რომ თქვენ, ამდენი კორუფციული ფაქტის და სკანდალის შემდეგ, აქ იყოთ და მთავრობას ამტკიცებდეთ და ქვეყნის მთავარი რეფორმატორი მიხეილ სააკაშვილი გყავდეთ ციხეში?“

გიორგი ტყემალაძემ მიმართა ირაკლი ნადირაძეს, რომ, სამწუხაროდ, მისი განწყობა არის არა საქმიანი, არამედ, პროვოკაციული, რადგან მის მიერ დასმული არ იქნა არცერთი შეკითხვა და

აქედან გამომდინარე, აღარ აქვს მოლოდინი, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები დასვავენ კონკრეტულ კითხვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა პროექტების განხორციელებაა დაგეგმილი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში და როგორ აპირებს თბილისის მთავრობა ქალაქის მართვას.

რევაზ სოხაძემ მიმართა კახა კალაძეს, ვართ თუ არა მზად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ არაკონსტრუქციული დამოკიდებულების მიუხედავად, ქალაქს ვემსახუროთ ამ ადამიანებთან ერთად.

თორნიკე ბიკაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის პირველ ოქტომბერს, როდესაც საქართველოს მესამე პრეზიდენტმა გააცხადა სამშობლოში დაბრუნების შესახებ, კახა კალაძემ განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილმა „ამ ცრუ ქმედებით გააფარჩაკა საკუთარი პარტია და მისი კანდიდატიც“. თუმცა, იმავე საღამოს, პრემიერმინისტრმა გვამცნო, რომ დაკავებულია მიხეილ სააკაშვილი და ამის შესახებ „ქართულმა ოცნებამ“ დილიდან იცოდა, მათ შორის, მაშინაც, როდესაც კახა კალაძემ გააკეთა კომენტარი და მიმართა ქალაქის მერს - „ვინ გაფარჩაკდა, ბატონო კახი?“ თორნიკე ბიკაშვილმა გაიხსენა 2020 წლის არჩევნების წინ, კახა კალაძის მიერ პარტიაში გაკეთებული განცხადება, რომ გლდანს საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ იღებდა და რომ მოიგებდა იმ არჩევნებს, თუმცა, ნიკა მელიამ დაამარცხა „ქართული ოცნების“ კანდიდატი და მიმართა კახა კალაძეს - „რა დაგემართათ, ბატონო კახი?“ მან ასევე, გაიხსენა კახა კალაძის მიერ 2021 წლის არჩევნების წინ გაკეთებული განცხადება, რომ არჩევნებს მოიგებდა პირველივე ტურში, თუმცა, ვერ შეძლო და იგივე კითხვით მიმართა მას - „რა დაგემართათ, ბატონო კახი?“ საუბრის ბოლოს, თორნიკე ბიკაშვილმა მიმართა კახა კალაძეს - „გაფარჩაკებაა ძალადობით, მოსყიდვით, დაშინებით ჩატარებული არჩევნები და ამის შემდეგ, იდგეთ მაგ ტრიბუნასთან და სიამაყით წარმოგვიდგენდეთ იმ მთავრობას, რომლის ძირითადი მახასიათებლები დაპირებების არშესრულება, არჩევნების გაყალბება, კორუფცია და ნეპოტიზმია“.

ირაკლი ხელაძემ აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, ქალაქს არ აქვს აღრიცხული ქონება და იქიდან გამომდინარე, რომ ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, დაინტერესდა, იგეგმება თუ არა ინვენტარიზაცია. ასევე, დაინტერესდა, რა ნაბიჯების გადადგმა იგეგმება სპორადული რეგისტრაციების მიმართულებით, რადგან აღნიშნული სერიოზული პრობლემაა, როგორც მოქალაქეებისთვის, ასევე, რაიონული გამგეობებისთვის.

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ ვაზისუბანში, IV მიკრორაიონის I კვარტალში, 22 სართულიანი შენობის გვერდით, მიმდინარეობს 9 სართულიანი შენობის მშენებლობა ისე, რომ შენობებს შორის დაშორება არ არის ერთი მეტრი და განაცხადა, თუ არა კორუფციას, რას შეიძლება მივაწეროთ იმ ადამიანების ქმედებმა, ვინც გასცა ნებართვა აღნიშნულ მშენებლობასთან დაკავშირებით. ისაუბრა მიუსაფარი ცხოველების კუთხით არსებულ პრობლემებზე და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით უმოქმედობა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ცხოველებს, არამედ მოსახლეობასაც. გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ უფასო სასადილოებში კვება 1.23 ლარიდან გაიზარდა 1.70 ლარამდე, თუმცა ტენდერის ჩატარების შემდეგ, ეს თანხა დაიკლებს და იმ ორმოცი ათასი ადამიანისთვის, ვინც სარგებლობს უფასო სასადილოების მომსახურებით, არაფერი უმჯობესდება. მან, ასევე, ისაუბრა სპორტის მიმართულებაზე და განაცხადა, რომ კალათბურთი არის ერთ-ერთი მასობრივი სპორტი და აქედან გამომდინარე, საინტერესოა რით დაეხმარა თბილისის მუნიციპალიტეტი რომელიმე ბავშვს ან რა კრიტერიუმებით ეძლევათ მწვრთნელებს დახმარება. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ კახა კალაძემ თავის ბოლო გამოსვლებში „ვულგარულად და უტიფრად“ მოიხსენია ქვეყნის მესამე პრეზიდენტი და მიმართა მას - „მაშინ, როდესაც ე.წ. გირგვლიანის თემა უკვე მომხდარი იყო და 7 ნოემბერიც უკვე მომხდარი იყო, თქვენ, ძალოვნებთან და მიხეილ სააკაშვილთან ერთად, ეწეოდით მის პიარს. როდის შეგეცვალათ მის მიმართ დამოკიდებულება და ამ დამოკიდებულების ცვლილება ხომ არ გამოიწვია ბიძინა ივანიშვილის განუსაზღვრელმა ფინანსებმა“.

ნინო რუხაძემ აღნიშნა, რომ დაგეგმილია 10 სატრანსპორტო დერეფნის მოწყობა და დაინტერესდა, რა გრაფიკით იგეგმება მათი გახსნა, არის თუ არა გაწერილი კონკრეტული გეგმა, როგორ უნდა განხორციელდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა და რა ვადაში ამოქმედდება ათივე სატრანსპორტო დერეფანი. ასევე, ისაუბრა თბილისისთვის შემოერთებულ ტერიტორიებზე მიწის რეგისტრაციის კუთხით არსებულ პრობლემებზე, აღნიშნა, რომ რაიონულ გამგეობებში შესულია დაახლოებით 50000 განცხადება, თუმცა ვერ ხერხდება მათზე რეაგირება და დაინტერესდა, როდის შედგება ამ მიმართულებით სამუშაო შეხვედრა, რათა გამოინახოს ამ პრობლემის გადაჭრის გზები.

ზვიად კუპრავა დაინტერესდა თუ როგორია კახა კალაძის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს პრეზიდენტი, არ აქვს მნიშვნელობა მის ვინაობას - იქნება ეს მიხეილ სააკაშვილი თუ სხვა, არის ფარმაკოლოგიური და ფიზიკური წამების მსხვერპლი და არის იმ მდგომარეობაში, რაც მას გლდანის ციხეში, პატიმრების მიერ, ე.წ. „შუმოკის“ სახით, მოუწყო „ქართულმა ოცნებამ“. მისი თქმით, მანამ, სანამ ქვეყანაში გვაქვს ვითარება, რომ საქართველოს პრეზიდენტი არის წამების ქვეშ, ვერ ვისაუბრებთ ვერც ორმოებზე და ვერც ეკონომიკური, სოციალური და ბევრი სხვა მიმართულებით არსებულ უმწვავეს პრობლემებზე. ზვიად კუპრავამ ასევე, ისაუბრა 2015 წელს, კახა კალაძის მიერ „გაზპრომთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაზე, რომელიც დახურულია და მიმართა მას - „თუ შეიძლება აგვიხსნათ, სად ვართ დღეს ამ მიმართულებით, ჩამოგვკიდეთ თუ არა ბოლომდე რუსულ ენერგოგიგანტზე და ვართ თუ არა დამოკიდებული რუსულ ენერგიაზე დღეს?“

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ გასული ოთხი წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, მათ შორის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით და დაინტერესდა, სად და როდის იგეგმება მესამე მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობის დაწყება. ასევე, აღნიშნა, რომ 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში ახალგაზრდობის მიმართულებით გაზრდილია დაფინანსება, რაც მისასალმებელია და დაინტერესდა, ახალგაზრდული სივრცეების მოწყობის კუთხით, რომელი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება იგეგმება პირველ ეტაპზე და კოჯრის ახალგაზრდულ სოფელთან დაკავშირებით ხომ არ იგეგმება კერძო სექტორთან თანამშრომლობა.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე დღეა ვნებათა ღელვაა გარემოვაჭრეებთან დაკავშირებით, რომლებსაც ძალადობრივი გზით აუკრძალეს საქმიანობა დელისის მეტროსთან და დაინტერესდა, რა პოლიტიკაა ძალადობის გამოყენება გარემოვაჭრეების წინააღმდეგ და აპირებს თუ არა მერია ძალადობრივი პოლიტიკის გაგრძელებას მათ წინააღმდეგ იმისთვის, რომ „ფასადური ლამაზი ფონი შეინარჩუნოს ქალაქში“. განაცხადა, რომ ოცდათერთმეტი ათასით გაზრდილი შემწეობის მიმღებთა რაოდენობა კარგად მეტყველებს სოციალურ პოლიტიკაზე, თუმცა, ამ ფონზე, დედაქალაქის მერიის სტრუქტურებში მიმდინარეობს ბიუჯეტის სახსრების ძალიან დიდი ფლანგვა, რისი ნათელი მაგალითიცაა საზოგადოებასთან ურთიერთობის ა(ა)იპ-სთვის დაფინანსების გაზრდა ხუთი მილიონით იმისთვის, რომ ქალაქის მერმა გადაიღოს ლამაზი ფოტოები და შექმნას ალტერნატიული თბილისის ეფექტი. მისი თქმით, მაშინ, როდესაც უფასო სასადილოებით მოსარგებლე 18 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა 12000-ზე მეტია, უმჯობესი იქნება, ეს თანხა მიმართული იყოს შიმშილის და მწვავე პრობლემების მოგვარებისკენ და არა ქალაქის მერის ინსტაგრამ პოსტების გაზიარებასა და დასპონსორებისკენ. საბა ბუაძემ განაცხადა, რომ კახა კალაძის მმართველობასთან დაკავშირებით აქვს თავისი მოსაზრება და მიაჩნია, რომ „დედაქალაქის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული მერია არა მხოლოდ პერსონალური გამდიდრების და კორუფციის თვალსაზრისით, არამედ პარტიის სასარგებლოდ“. მისი თქმით, მერიის ადმინისტრაციისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, როგორც კორუფცია, ასევე, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, რისი მაგალითებიცაა ბოლო წლების განმავლობაში რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირის და გამგეობის რამდენიმე თანამშრომლის დაკავება კორუფციის ბრალდებით და დაინტერესდა, აპირებს თუ არა კახა

კალაძე საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი პირობის შესრულებას, რომელიც ეხებოდა ანტიკორუფციული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებას და კონკრეტული კონტროლის და ინსპექტირების ინსტრუმენტების დანერგვას. ასევე, აპირებს თუ არა დედაქალაქში არსებულ კორუფციულ და კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ პრობლემებს გასცეს სისტემური პასუხი.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ იდენტიფიცირებულია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული სამი ათასი ოჯახი, ამ ეტაპზე, სახელმწიფო ვალის გასტუმრება განხორციელდა ათას ორასი ოჯახის მიმართ და დაინტერესდა, რა ვადაში იგეგმება დარჩენილი ათას რვაასი ოჯახისთვის შესაბამისი ქონების გადაცემა. მისი თქმით, ეს კითხვა ებმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას, რადგან სხვანაირად წარმოუდგენელია ამ პრობლემის მოგვარება.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა აღნიშნა, რომ კახა კალაძის მერობის პერიოდში, მიღებული იქნა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რის შედეგადაც თბილისი უნდა გამხდარიყო მწვანე ქალაქი, თუმცა, საკრებულოს ყველა სხდომაზე ამა თუ იმ მიწის ნაკვეთს ეცვლება ფუნქციური ზონის სტატუსი და სარეკრეაციო ზონას ენიჭება საცხოვრებელი ზონის სტატუსი. ამასთანავე, ვხედავთ, რომ ყოფილ სარეკრეაციო და ასევე, გეოლოგიურად საშიშ ზონებში შენდება მაღალსართულიანი კორპუსები და დაინტერესდა, რა კონკრეტული მექანიზმი არსებობს, რომ გეოლოგიურად საშიშ ზონებში მიმდინარე მშენებლობებმა მოქალაქეებს არ შეუქმნას საფრთხე. აღსანიშნავია ასევე, რომ ესა თუ ის კომპანია მშენებლობის ნებართვას იღებს გაცილებით მარტივად, ვიდრე ფიზიკური პირი და დაინტერესდა, არსებობს თუ არა რაიმე კონტროლის მექანიზმი, რომ გენ.გეგმით გათვალისწინებული რეგულაციები ყველასთვის ერთნაირად ვრცელდებოდეს. განაცხადა, რომ ჩვენ გვაქვს ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე მდგარი ზონები: დამშრალი ლისის ტბა, ფეკალური მასებით დაბინძურებული თბილისის ზღვა და დახარჯული მილიონობით ლარის მიუხედავად, დღემდე მოუგვარებელი ლილოს ნაგავსაყრელის პრობლემა და დაინტერესდა, არსებობს თუ არა რაიმე მექანიზმი, რომ შეწყდეს შერჩევითი მიდგომა.

გურამ ოქროპირიძე დაინტერესდა, როგორი იქნება დედაქალაქის საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტები მომდევნო წლების განმავლობაში, რისი გაკეთება იგეგმება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით და რა სიახლეებს უნდა ველოდოთ ამ მიმართულებით 2022 წლის დასაწყისიდან.

ნინო კვიტაიშვილი დაინტერესდა, რატომ ჩათვალა კახა კალაძემ, რომ საბავშვო ბაღებში დასაქმებული ადამიანების ცხოვრებით ისე შეიძლებოდა მანიპულირება, რომ ისინი ჰყოლოდათ პროპაგანდისტულ, ვიწრო პარტიულ, მათ შორის, საარჩევნო უბნებსა და უბნებს გარეთ საქმიანობაში ჩართული, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც უარს აცხადებდნენ ამ საქმიანობაზე და კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ თავის საქმეს, მუდმივად ყოფილიყვნენ მათი პარტიული ზეწოლის ქვეშ. მისი თქმით, ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება არის ის, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სწორედ ამ მიზნით ასაქმებენ იმ ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ პარტიული ნაწილისთვის იქნება მისაღები. აქედან გამომდინარე, მიმართა კახა კალაძეს - „როდემდე შეიძლება ასე გაგრძელება? ეს არის თქვენი გადასახედიდან სიცოცხლით სავსე, დემოკრატიული, ცივილური და ისეთი ქალაქი, რომელიც რეალურად ამ სახელმწიფოს სჭირდება? თუ ეს არის გეგმა იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტად გაიხანგრძლივოთ ეს კორუფციული ყოფა, რაც შეიძლება მეტად დიდი ფული იშოვოთ თქვენ და თქვენმა გარემოცვამ?“

ნათია მოდებაძე დაინტერესდა, რამდენად ხდება პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულების დასაქმება დღევანდელ შრომის ბაზარზე და პროფესიული კოლეჯების მიერ გაცემულ სერტიფიკატებს აქვს თუ არა საერთაშორისო აღიარება.

მიხეილ კაკაურიძემ ისაუბრა ხიზანიშვილი-ვეკუას პროექტზე, რომელიც ხორციელდებოდა ორი წლის განმავლობაში და პარალიზებული იყო, პრაქტიკულად, მთელი დასახლება. თუმცა, პროექტის დასრულებიდან პირველივე წვიმის შემდეგ, საჭირო გახდა ხელმეორედ გადათხრა და სანიაღვრე ქსელის მოწყობა. ამავდროულად, ზემოთ ხსენებული სამუშაოების მიმდინარეობისას, თითქმის სრულად გაკოტრდა იმ ტერიტორიაზე არსებული ბიზნესი, რადგან შეუძლებელი იყო ავტომანქანის პარკირება და იქ არსებულ ობიექტებთან წვდომა. ამ ეტაპზე, სრულად განახლდა ასფალტის საფარი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სავალ ნაწილზე, თუმცა შეუძლებელი გახდა ტაქსით სარგებლობა, რადგან სატრანსპორტო საშუალების მფლობელს უწევს ორღერძულა ხაზის გადაკვეთა იმისთვის, რომ მოემსახუროს მოქალაქეს. ამ ყველაფრის ფონზე, თუ არა კორუფცია და არაპროფესიონალიზმი, რით აიხსნება ის, რომ ხსენებული ობიექტიდან გამქრალია ხუთასი ტონა ჯართი და იმის გათვალისწინებით, რომ თბილისი კამერებით სავსე ქალაქია და შეუძლებელია რომელიმე კამერას არ დაეფიქსირებინა ტერიტორიიდან ამ მოცულობის ჯართის გატანა, დღემდე ეს საქმე შემოდებულია პროკურატურის თაროზე. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, მიიღო თუ არა რაიმე ზომები დედაქალაქის მერიამ ამ მიმართულებით, დაისაჯა თუ არა რომელიმე მოხელე არაკომპეტენტურობისთვის და იმის გათვალისწინებით, რომ თორმეტმილიონიანი პროექტის განახლება რამდენჯერმე გახდა საჭირო, კახა კალაძე თვლის თუ არა, რომ პროექტში უნდა შევიდეს ცვლილებები. საუბრის ბოლოს, მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ მომავალი საქმიანი თანამშრომლობის მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს ერის თანხმობა და ამის ბერკეტი აქვს კახა კალაძეს, როგორც ქალაქის მერს და როგორც „ქართული ოცნების“ პარტიის გენერალურ მდივანს.

ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ თბილისის საკრებულოში წარმოდგენილია ხუთი ოპოზიციური პარტია და დაინტერესდა, როგორ ხედავს ქალაქის მერი მათ როლს თბილისის განვითარების საქმიანობაში და თუ შესთავაზებს მათ დამატებით რაიმეს ამ კუთხით.

გიორგი შარაშიძემ აღნიშნა, რომ კახა კალაძის წინასაარჩევნო სლოგანი იყო „მეტი სიცოცხლე ყველა უბანში“, თუმცა, კოვიდპანდემიის გამო, ყოველდღიურად ძალიან ბევრს ადამიანს ვკარგავთ, რაც, მართალია, კონკრეტულად არავის ბრალი არ არის, თუმცა, საინტერესოა, კახა კალაძემ, როგორც თბილისის მერმა, რა გააკეთა იმისთვის, რომ თბილისში მაინც, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანი ქალაქია და გამოიჩევა ყველაზე მაღალი მობილობით, შედარებით დაბალი ყოფილიყო კორონავირუსის გავრცელების და სიკვდიალობის კუთხით დღეს არსებული ნეგატიური სტატისტიკა, პირბადის ტარების მაჩვენებელი არ ყოფილიყო ასეთი დაბალი, რაც დღეს გვაქვს, დაცული ყოფილიყო არსებული რეგულაციები და თბილისელებისთვის სათანადო საგანმანათლებლო კამპანია ჩაეტარებინა ვაქცინაციის შესახებ, რაც, მისი აზრით, გაცილებით მეტი ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას გადაარჩენდა.

მამუკა გუგეშაშვილმა განაცხადა, რომ ე.წ. „მოარული ხმების“ თანახმად, მიწის ლეგალიზაციის კომისიაში არის კორუფცია და დაინტერესდა, რატომ არ შეჰყავთ კომისიის შემადგენლობაში ოპოზიციის წევრი, რისი დიდი სურვილიც მათ აქვთ. აქვე, ისაუბრა თბილისში არსებულ საცობებზე, აღნიშნა, რომ ფაქტობრივად დასრულებულია ე.წ. „ლისის გზა“, რომელიც არის მაჭავარიანისა და გელოვანის გამზირის შემაერთებელი გზა, თუმცა, „ვეფხვი და მოყმის“ ძეგლთან, არ არსებობს მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების დამაკავშირებელი ხიდი, თავისი პანდუსებით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა სამი მიმართულებით მოძრაობა. განაცხადა, რომ ძალიან კარგია, როდესაც რაღაც კეთდება, მაგრამ ძალიან ცუდია არაპროფესიონალურად გაკეთება და დაინტერესდა, ეს იყო შეცდომა თუ სიმართლეა ამ კუთხით არსებული ვარაუდი, რომ ამ ტერიტორიაზე უნდა აშენდეს კორპუსები.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა მამუკა გუგეშაშვილს, რომ მისი პირველი კითხვის ადრესატი არ არის ქალაქის მერი, რადგან მიწის ლეგალიზაციის კომისიაში საკრებულოს წევრის კანდიდატურას იხილავს საკრებულო.

ვლადიმერ ბოჟაძემ აღნიშნა, რომ 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში ასახულია სოციალურად დაუცველი პენსიონერებისთვის მედიკამენტების შესაძენად გამოყოფილი 500 ლარიანი დახმარება და დაინტერესდა, ჯამში დაახლოებით რა თანხაზეა საუბარი. ასევე, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, რა იგეგმება სტუდენტების დაფინანსების, სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, მწვრთნელების დახმარების და ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით.

ანა კაკაბაძემ განაცხადა, რომ ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის აწმყო და მომავალი დგას ექიმ-რეზიდენტებზე, თუმცა, მათთვის არ არსებობს დაფინანსების სისტემა, გრანტი ან თანადაფინანსება. აღსანიშნავია ისიც, რომ ექიმ-რეზიდენტებს არ აქვთ სტუდენტის სტატუსი და შესაბამისად, ვერ სარგებლობენ სტუდენტებისთვის განკუთვნილი ვერანაირი შეღავათით. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, არის თუ არა შესაძლებელი მუნიციპალიტეტის მხრიდან მოხდეს მათთვის რაიმე პროგრამის შემუშავება ან რაიმე სახის დახმარების გაწევა.

ლილე ლიპარტელიანმა ისაუბრა 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე, რომლიც, მისი თქმით, ჩატარდა ყველა კანონის დარღვევით - ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, ადამიანების მოსყიდვას, ძალადობას, ზეწოლას, რაშიც აქტიურად იყვნენ ჩართულები კახა კალაძის მიერ დღეს წარმოდგენილი მთავრობის წევრობის კანდიდატები, თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, „ქართულმა ოცნებამ“ და კახა კალაძემ მაინც ვერ გაიმარჯვეს დამაჯერებლად. ლილე ლიპარტელიანმა კონკრეტული სახელების და გვარების მითითებით, დეტალურად ისაუბრა არჩევნებზე გამოვლენილ დარღვევებზე და მიმართა კახა კალაძეს - „ასე აპირებთ გაგრძელებას? არ გაქვთ კითხვები საკუთარ თავთან, საკუთარ გუნდთან? თუ ეს არის მიტაცებული არჩევნების ბენეფიტები?“

კონსტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ მას ჰქონდა კომუნიკაცია ახმეტელის თეატრის მსახიობებთან, რომლებიც ელოდებიან თეატრის რეაბილიტაციას მომავალ წლებში და დაინტერესდა, როდის იგეგმება აღნიშნული და რა ვადებია განსაზღვრული სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისთვის.

სოფიო ჯაფარიძემ განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, რაიონული გამგეობების მხრიდან, მოქალაქეების დახმარება ხდება შერჩევით და ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც კონკრეტულმა ადამიანებმა ვერ მიიღეს დახმარება იმიტომ, რომ არ იყვნენ „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პირები. სოფიო ჯაფარიძემ, მაგალითისთვის, ისაუბრა ერთ-ერთ მოქალაქეზე, რომელსაც ესაჭიროებოდა მედიკამენტები და გამგეობაში დახმარების მისაღებად სთხოვეს გამგეობის თანამშრომლის, ამავდროულად „ქართული ოცნების“ ზონის უფროსის თანხმობა და დაინტერესდა, აპირებს თუ არა ქალაქის მერი ამ საკითხის მოგვარებას და კონტროლს.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ ქალაქის განვითარებისას ჩნდება ახალი ქუჩები, სადაც საჭიროა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა და დაინტერესდა, მიკროავტობუსების სრულად ჩანაცვლების შემდეგ, რამდენად შესაძლებელი იქნება, ახალ ქუჩებზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტების დანიშვნა.

ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ თბილისის სხვადასხვა ქუჩებზე ზონალურ-საათობრივი პარკირების შემოღების შემდეგ, ერთი მხრივ, პარკირების ადგილი გაჩნდა ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის და მათთვის, ვინც ამ ტერიტორიაზე მუშაობს, თუმცა, მეორე მხრივ, ავტომობილების ნაწილმა გადაინაცვლა ტროტუარებზე, რაც სერიოზულ დისკომფორტს უქმნის ფეხით მოსიარულეებს და დაინტერესდა, არის თუ არა რაიმე დაგეგმილი ამ მიმართულებით არსებული პრობლემის მოსაგვარებლად.

კახა კალაძემ, ირაკლი ხმალაძემ და ანდრია ბასილაიამ უპასუხეს საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

კახა კალაძემ განმარტა, რომ ორთაჭალაში და დიდუბეში არსებული საქალაქთაშორისო ავტოსადგურები არის კერძო საკუთრება, რომელთა ფუნქციონირება ხდება ეკონომიკის სამინისტროს ლიცენზიით, თუმცა, ეთანხმება ალექსანდრე რატიშვილს, რომ თბილისი არ იმსახურებს ამ მიმართულებით დღეს არსებულ რეალობას და აქედან გამომდინარე, ქალაქის მერია დაიწყებს ამ მიმართულებით მუშაობას იმ ფორმით, რა ფორმითაც მიმდინარეობს ელიავას ბაზრობის კონცეპტუალური შემუშავება - როგორ უნდა მოხდეს არსებული ტერიტორიის განვითარება ისე, რომ ხელი არ შეეშალოთ იქ დასაქმებულ ადამიანებს და საკრებულოს წარუდგენს კონცეფციას. შემოვლითი რკინიგზის პროექტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ კუთხით არსებული დასკვნების თანახმად, პროექტი არის წამგებიანი და სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს რკინიგზის შემდგომი ფუნქციონირებისთვის, ხოლო რაც შეეხება არსებულ ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მოწყობას, გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის მიერ, დადებულია რეკომენდაციები, რომ ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ მისი, როგორც პროექტის განხორციელება. ვარკეთილის მეტროში მომხდარი ინციდენტის შემდეგ, მერიას ჰქონდა შესაბამისი რეაგირება და იმ კომპანიის წინააღმდეგ, რომელმაც ჩაატარა სამუშაოები, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ხოლო რაც შეეხება მის მონაწილეობას სხვა ტენდერებში, განაცხადა, რომ აღნიშნულ კომპანიას მერიის მიერ გამოცხადებულ არც ერთ ტენდერში აღარ მიუღია მონაწილეობა, რადგან შეყვანილი იყო შავ სიაში. იქიდან გამომდინარე, რომ საქმე ეხება ადამიანების უსაფრთხოებას, მუნიციპალიტეტმა ვარკეთილის მეტროში ჩაატარა კვლევები მდგრადობასთან დაკავშირებით, შემუშავდა კონკრეტული ვიზუალი და დიზაინი, ძალიან მალე მუნიციპალიტეტს ექნება პროექტი და დაიწყებს სამუშაოების განხორციელებას. აქვე, ისიც აღნიშნა, რომ მდგრადობასთან დაკავშირებული პრობლემა იყო მეტროსადგურ გოცირიძის ბაქანთან დაკავშირებითაც, სადაც ჩატარდა შესაბამისი კვლევები, ამ ეტაპზე, მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები და პროექტი რამდენიმე თვეში დასრულდება. კახა კალაძემ თორნიკე ბიკაშვილის მიერ დასმულ შეკითხვებზე განაცხადა, რომ ყველაფერზე პასუხი არი ის, თუ ვინ არის დღეს ქალაქის მერი, რა პროპორციით არიან წარმოდგენილი საკრებულოში „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და რომელმა პოლიტიკურმა ძალამ გაიმარჯვა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ვაზისუბანში მიმდინარე მშენებლობაზე განაცხადა, რომ დაუშვებელია კორპუსებს შორის დაშორება იყოს ერთი მეტრი და მიმართა გიორგი ონიანს, მიაწოდოს აღნიშნული ტერიტორიის საკადასტრო კოდი, რის შემდეგაც შეძლებს მოიძიოს და მიაწოდოს მას დეტალური ინფორმაცია. უფასო სასადილოებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ მიმართულებით დაფინანსება გაზრდილია ხუთი მილიონი ლარით, თუმცა, რა თქმა უნდა, სასიამოვნო არ არის ის, რომ თუნდაც ერთი ოჯახი და ერთი ადამიანი სარგებლობს უფასო სასადილოს მომსახურებით. სასურველია, რაც შეიძლება ნაკლები სოციალურად დაუცველი ოჯახი და უფასო სასადილოებით მოსარგებლე ადამიანი გვყავდეს, თუმცა, სანამ არის ამის საჭიროება და აუცილებლობა, ქალაქის მერია მაქსიმალურად გვერდში დაუდგება მათ. აქვე აღნიშნა, რომ ასეთი ადამიანებისთვის მოქმედებს არა მხოლოდ უფასო სასადილოები, არამედ მათ დასახმარებლად კეთდება ბევრი სხვა რამ - გასულ წელს, ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით დაიხარჯა 350000000 ლარი და ეს ბიუჯეტი კიდევ უფრო გაზრდილია, რათა დახმარება გაეწიოს შესაბამისი საჭიროების მქონე ადამიანებს. მისი თქმით, ეს თანხა შეიძლება არ იყოს საკმარისი, თუმცა, მუნიციპალიტეტის შესაძლებლობიდან გამომდინარე, ბიუჯეტი გადანაწილებულია სწორად და ისე, რომ პარალელურად მოხდეს ქალაქის განვითარება და აღმშენებლობა. კახა კალაძემ განაცხადა, რომ სპორტი და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა და ამ კუთხით მერია ახორციელებს ბევრ კარგ პროგრამას, მათ შორის, კალათბურთის მიმართულებით ხორციელდება სპორტული კლუბების ეკიპირება, მწვრთნელების გადამზადება და ფინანსური დახმარება, საერთაშორისო ტურნირები, მერიის თასი და სხვადასხვა ტურნირები, რომლებიც ტარდება მერიის დახმარებით. მიუსაფარი ცხოველების კუთხით არსებულ პრობლემაზე განაცხადა, რომ

მუნიციპალიტეტი მუშაობს ამ მიმართულებით, თუმცა აღნიშნული არა მხოლოდ თბილისის, არამედ, ზოგადად, საქართველოს მასშტაბით არსებული პრობლემაა და დაგეგმილია მისი დარეგულირება საკანონმდებლო დონეზე. მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე განაცხადა, რომ არავის სიამოვნებს ადამიანის საპატიმროში ყოფნა, ვინც არ უნდა იყოს ის, თუმცა, როდესაც ვინმეს ჩადენილი აქვს დანაშაული, განურჩევლად თანამდებობისა, ყველამ უნდა აგოს პასუხი. მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ორი პროექტი და დაგეგმილია ყველა რაიონში მინიმუმ ერთი ასეთი ცენტრის მშენებლობა მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში. რაც შეეხება ახალგაზრდული ცენტრების მშენებლობას, ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია კოჯრის ახალგაზრდული ცენტრი. ასევე, მნიშვნელოვანი პროექტია ახალგაზრდული ჰაბების მოწყობა დენდროლოგიურ პარკში და აღსანიშნავია, რომ საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ" გამოთქვა მზაობა, განახორციელოს ხსენებული პროექტები და შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ დახარჯავს ფულს. გარემოვაჭრეებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კანონი უნდა იყოს აღსრულებული და სამწუხაროდ, ამ ადამიანებისთვის გვიწევს შეხსენება, რომ კონკრეტულ სივრცეებში დაშვებული არ არის გარევაჭრობა. მერიამ, გამგეობებთან ერთად, გამოყო კონკრეტული ტერიტორიები, სადაც ამ ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა, ყოველგვარი გადასახადის გარეშე, განახორციელონ პროდუქტის გაყიდვა, ხოლო ისეთ ადგილებში, სადაც კანონით აკრძალულია გარევაჭრობა, ამ საქმიანობას ყოველთვის მოყვება შესაბამისი რეაგირება. გენ.გეგმის მიხედვით ზონების ცვლილებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს არის ჩვეულებრივი პროცესი, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება. ზონის სტატუსის ცვლილებები ძირითადად ხორციელდება კერძო მესაკუთრეების მოთხოვნის საფუძველზე, რომელთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, ახალი გენ.გეგმით, გაუუარესდა ფუნქციური ზონის სტატუსი. სამართლიანობის პრინციპის დაცვიდან გამომდინარე, მერიის შესაბამისი სამსახური შეისწავლის თითოეულ შემთხვევას და მოქმედებს შესაძლებლობის ფარგლებში - მიწის ნაკვეთს უბრუნებს ძველ სტატუსს ან დგება მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხი. რაც შეეხება ნაგავსაყრელის პრობლემას, ამ მიმართულებით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან და უცხოელ ექსპერტებთან ერთად, მიმდინარეობს მუშაობა და ძალიან მალე მუნიციპალიტეტს ექნება შესაძლებლობა გამოაცხადოს ინტერესთა გამოხატვა, რათა მოხდეს ამ ნაგავსაყრელის მოწესრიგება ევროპული სტანდარტებით და შევძლოთ ელექტროენერგიის ან გაზის მიღება აღნიშნული პროექტის განხორციელებიდან. პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებთან დაკავშირებით განმარტა, რომ მერიას აქვს პროგრამა, რომლის საშუალებითაც ახორციელებს ადამიანების გადამზადებას სხვადასხვა მიმართულებით. დღეს გვაქვს ისეთი რეალობა, რომ არსებობს ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ვერ შოულობს სამსახურს და ამასთანავე, არსებობს ბიზნეს სექტორი, რომელიც ვერ შოულობს კვალიფიციურ კადრს. აქედან გამომდინარე, მერიამ შექმნა პროგრამა, რომლის საშუალებითაც ახორციელებს ათასობით ადამიანის გადამზადებას, რის შემდეგაც ხდება მათი დასაქმების ხელშეწყობა. ხიზანიშვილი-ვეკუას ქუჩების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ იყო გარკვეული პრობლემები, რადგან, სამწუხაროდ, სამშენებლო სექტორში გვაქვს ჩამორჩენა. კომპანიების შერჩევა ხდება ტენდერის საფუძველზე და არის ისეთი შემთხვევები, როდესაც გამარჯვებული კომპანიები იქცევიან არაკეთილსინდისიერად და მათი უმრავლესობა ვერ ახერხებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, თუმცა, არცერთი ასეთი შემთხვევა არ დარჩენილა რეაგირების გარეშე. რაც შეეხება ჯართის თემას, ამ საკითხზე მოკვლევა პირველმა გააკეთა მერიამ და საქმე გადაუგზავნა გენერალურ პროკურატურას. ოპოზიციასთან თანამშრომლობაზე დასმულ შეკითხვაზე განაცხადა, რომ მან ამ მიმართულებით გამოთქვა მზადყოფნა და აღნიშნა, რომ თანამშრომლობა უნდა იყოს ორმხრივი. მისი თქმით, დღევანდელ სხდომაზე, რა თქმა უნდა, არა ყველასგან, მაგრამ ოპოზიციონერების ნაწილისგან ხედავს საპირისპიროს და აქედან გამომდინარე, ამ საკითხზე ცოტა მოგვიანებით ისაუბრებს. კითხვასთან, თუ რა გააკეთა მან კოვიდპანდემიის დროს, განაცხადა, რომ შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომლის წევრიც არის და ფიქრობს, რომ საბჭომ იმუშავა და ახლაც წარმატებულად მუშაობს. მისი თქმით, ყველაზე მთავარი იყო

ვაქცინის მობილიზება და დღეს, საქართველოში, თავისუფლად არის შესაძლებელი ადამიანების აცრა, რაც დაცვის ყველაზე კარგი შესაძლებლობაა. ხოლო რაც შეეხება იმას, თუ რა გააკეთა ქალაქის მერიამ ამ მიმართულებით, ამაზე დეტალურად ისაუბრებს ირაკლი ხმალაძე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მერია ამ რთულ ვითარებაში დაეხმარა თითოეულ იმ ადამიანს, ვისაც ყველაზე მეტად გაუჭირდა და სჭირდებოდა თანადგომა, დღესაც ეხმარება მათ და მომავალშიც დაეხმარება. მიწის ლეგალიზაციის კომისიის შემადგელობაში საკრებულოს ოპოზიციონერი წევრის ყოფნაზე განმარტა, რომ ეს არის საკრებულოს პრეროგატივა. რაც შეეხება სამტრედიის ქუჩის ხიდის მშენებლობას, რომელიც იქნება მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების დამაკავშირებელი, განმარტა, რომ პირველი ეტაპი, რასაც ვაკეთებთ, ეს არის გზა, რომელიც უკავშირდება მაჭავარიანის და გელოვანის ქუჩებს, მეორე ეტაპი, „ვეფხვი და მოყმის" მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებაა და მესამე ეტაპი არის იმ ხიდის მშენებლობა, რომელზეც საუბრობდა მამუკა გუგეშაშვილი, თუმცა აქ არის ერთი პრობლემა - თუ გვინდა, რომ ხიდი იყოს სრულყოფილი და აკმაყოფილებდეს სტანდარტებს, იქ არსებული ორი, თექვსმეტსართულიანი შენობის დაშლა მოგვიწევს, რაც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისთვის წარმოადგენს გარკვეულ პრობლემას. ამიტომ, ჯერ უნდა დავამთავროთ არსებული გზა, რომელიც დაწყებულია, შემდეგ მოეწყობა „ვეფხვი და მოყმის" მიმდებარე ტერიტორია და მესამე ეტაპთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მივიღებთ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და ექსპერტების ჩართულობით. რაც შეეხება ქალაქში არსებულ საცობებს, ამ მიმართულებით გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, მათ შორის, მტკივნეულიც, თუმცა აუცილებლად საჭირო. სატრასპორტო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია ის, რომ ყველა სატრანსპორტო საშუალებას ექნება თავისი სამოძრაო ზოლი, რაც დროთა განმავლობაში ხელს შეუწყობს საცობების შემცირებას. ექიმი-რეზიდენტების დახმარების კუთხით დასმულ შეკითხვაზე განმარტა, რომ აღნიშნული ცდება მუნიციპალიტეტის კომპეტენციას, თუმცა ინიციატივის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ჯანდაცვის სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობით, შევიმუშაოთ გარკვეული მხარდამჭერი პროექტები. სოციალურად დაუცველი სტუდენტების დახმარების მიმართულებით აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ფინანსდება 7000-მდე სოციალურად დაუცველი წარმატებული სტუდენტი, ხოლო რაც შეეხება მათ დასაქმებას, ზემოთ ხსენებული გადამზადების პროგრამა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ადამიანებმა აიმაღლონ კვალიფიკაცია და დააკმაყოფილონ დღეს არსებული ბიზნეს-მოთხოვნები, რაც, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს კიდევ უფრო მეტი ადამიანის დასაქმებას. ლილე ლიპარტელიანის მიერ არჩევნებთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე განაცხადა, რომ დაკონკრეტების გარეშე გაუჭირდება საუბარი, ხოლო თუ მიაწვდის კონკრეტულ ინფორმაციას, დეტალურად გასცემს პასუხს. ახმეტელის თეატრის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს იყო ერთ-ერთი დაპირება და 2023 წლის ბიუჯეტში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. გამგეობების მხრიდან დახმარების გაცემისას ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დაყოფაზე განაცხადა, რომ ეს ისეთი თემაა, სადაც არ შეიძლება ადამიანმა პოლიტიკური ნიშნით განსაზღვროს, ვის დაეხმაროს. მისი თქმით, „ეს იქნებოდა ყველაზე დიდი ბოროტება და ყველაზე დიდი უბედურება, რაც კი შეიძლება ადამიანმა ჩაიდინოს" და განაცხადა, რომ „არასდროს, ჩემი მერობის პერიოდში, არ მიღებულა ისეთი გადაწყვეტილება, რომ ადამიანები დახმარების და ხელშეწყობის თვალსაზრისით დაგვეყოს პოლიტიკური ნიშნით". რაც შეეხება სოფიო ჯაფარიძის მიერ ხსენებულ მოქალაქეს, მიმდინარე წელს ორჯერ მიიღო გამგეობიდან დაფინანსება მედიკამენტებისთვის და აქედან გამომდინარე, უხერხულია იმაზე საუბარი, რომ გამგეობებში პოლიტიკური ნიშნით ხდება ადამიანების დაყოფა. მიკროავტობუსების გადანაწილებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა და შესთავაზა შალვა ოგბაიძეს აქტიურად ჩაერთოს პროცესში, რათა მოსახლეობა არ დარჩეს უკმაყოფილო.

ირაკლი ხმალაძემ განმარტა, რომ დასრულებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაცია, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ახალი ვებგვერდის შექმნა, სადაც განთავსდება ეს მონაცემები და მუნიციპალური ქონების შესახებ ინფორმაცია

ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონულად. რაც შეეხება სპორადულ რეგისტრაციებთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებს, საჭიროა გადაწყვეტილების მიღება ყველა რაიონთან ერთად, თუ როგორი ინსტრუქციით უნდა იმოქმედონ გამგებლებმა, რომ გასცენ უფლების დამდგენი დოკუმენტები. მუნიციპალიტეტი მზად არის შეიმუშაოს ინსტრუქცია და გამგებლებს შეუქმნას მექანიზმი, რომ ამ მიმართულებით მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები. სატრანსპორტო დერეფნებთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაგეგმარებულია ათივე დერეფანი, რომლის იმპლემენტაციისთვის საჭიროა დაახლოებით წელიწადნახევარი, რადგან უნდა განხორციელდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურული სამუშაოები და გზების მოდიფიკაცია. მისი თქმით, აღნიშნული არის ერთიანი სქემის ნაწილი და კავშირშია დამატებით ორასი ერთეული ავტობუსის შემოყვანასთან, რაც, თავის მხრივ, კავშირშია ახალი ავტობაზის მშენებლობასთან და ფიქრობს, რომ ამ კომპლექსური გეგმის რეალიზება დასრულდება 2022-2023 წლების განმავლობაში. კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ ოჯახებთან დაკავშირებით განმარტა, რომ კონტრაქტი დადებულია და დაკმაყოფილებულია ათას შვიდასი ოჯახი და მათთვის უკვე მიმდინარეობს კონკრეტული პროექტები. ამ ეტაპზე ათას სამასი დაზარალებულიდან აქტიურია რვაასი განცხადება, რომელთა დაკონტრაქტება შესაძლებელია მოხდეს ერთი წლის განმავლობაში. ხოლო დანარჩენ დაზარალებულებს ჯერ არ განუახლებიათ განცხადებები, რათა რიგითობის დაცვის მიზნით, მოხდეს მათთვის სოციალური ქულების მინიჭება. გეოლოგიური საფრთხის შემცველ ტერიტორიებზე განმარტა, რომ გეოლოგიური საფრთხეების რუკას ადგენს გარემოს ეროვნული სააგენტო და მის მიერ, ორი წლის წინ, განახლებული რუკა დატანილია თბილისის განვითარების გნერალურ გეგმაზე, რომლითაც ხელმძღვანელობს მერია. კერძოდ, გეოლოგიური საფრთხის შემცველ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, ითხოვს დეტალურ გეოლოგიურ კვლევას და მხოლოდ ამის შემდეგ გაიცემა მშენებლობის ნებართვები. რაც შეეხბა მშენებლობის ნებართვების გაცემას არათანაბარ პირობებში, სასურველია დაკონკრეტდეს, თუ ვინ დაიჩაგრა უსამართლოდ და ვის მიენიჭა პრივილეგია, რადგან მერია ხელმძღვანელობს კანონმდებლობით, რომელიც ყველასთვის საერთოა. კითხვაზე, თუ რა გააკეთა მერიამ კოვიდ პანდემიის დროს, აღნიშნა, რომ ზაფხულის პერიოდში, მნიშვნელოვანი რაც განხორციელდა, ეს იყო ღამის კლუბების, რესტორნების და საბავშვო გასართობი ცენტრების დახმარების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მოხდა ამ სუბიექტების პირდაპირი ფინანსური დახმარება მერის სარეზერვო ფონდის მეშვეობით და მისი განხორციელება დაჯდა დაახლოებით 4500000 ლარი. გარდა ამისა, საკრებულოს წარედგინა ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე ათასი ბიზნეს სუბიექტის და მეწარმის დახმარებას, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია ხელშეწყობის სხვადასხვა ღონისძიებები - ჯარიმების ჩამოწერა, იჯარისგან გათავისუფლება, დაკარგული პერიოდის აღდგენა, ვადაგასული კონტრაქტების განახლება, პანდემიის განმავლობაში მოცდენილი პერიოდის ვადებში დამატება და დასუფთავების მოსაკრებლისგან ერთჯერადად გათავისუფლება ვაუჩერული პრინციპით. ზონალურ-საათობრივი პარკირების ამოქმედების შემდეგ ავტომობილების საფეხმავლო ტროტუარებზე განთავსებაზე განაცხადა, რომ ამ მიმართულებით უნდა გამკაცრდეს ინსპექტირება, დაჯარიმება და აღსრულების პროცესი და ამ კუთხით უკვე მიღებულია გარკვეული ზომები, რაც იძლევა იმის თქმის საბაბს, რომ უახლოეს პერიოდში მოგვარდება ეს პრობლემა.

ანდრია ბასილაიამ უპასუხა საინვესტიციო პოლიტიკის მიმართულებით დასმულ შეკითხვას და განაცხადა, რომ ახალმა კორონავირუსმა მნიშვნელოვნად შეცვალა მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ არსებული მიდგომები და საჭიროებები, თუმცა, მერიამ მოახდინა მყისიერი რეაგირება, რაც გამოიხატება იმაში, რომ შეამცირა და გააუქმა იჯარის გადასახადი, ასევე შეამცირა, გააუქმა და მოახდინა სხვადასხვა მოსაკრებლების სუბსიდირება, რასაც გააგრძელებს მომავალ წელსაც. აღსანიშნავია ასევე, მუნიციპალიტეტისა და ევროკავშირის საგრანტო პროექტი „სპარკი“, რომელიც ერთგვარი ბიზნეს-აქსელერატორია და ფუნქციონირებს რეაბილიტირებულ „კიკვიძის პარკში“, სადაც არაერთმა დამწყებმა და მცირე ბიზნესმა მიიღო დახმარება ბიზნეს-გეგმების დაწერაში და ინვესტიციების მოზიდვაში.

აღნიშნული პროექტი გაგრძელდება მომავალ წელსაც, დაგეგმილია საგრანტო კომპონენტის დამატება იმისთვის, რომ ამ რთულ პერიოდში კიდევ უფრო მეტად დაეხმაროს მუნიციპალიტეტი დამწყებ და მცირე ბიზნესს. რაც შეეხება ზოგადად, საინვესტიციო შეთავაზებებს, მერია მაქსიმალურად ცდილობს სხვადასხვა პროექტებში ჩართოს კერძო სექტორი, რისი ნათელი მაგალითიცაა, თუნდაც, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება და მომავალშიც მზად ვართ, ამა თუ იმ მუნიციპალურ აქტივზე ვიმსჯელოთ ბიზნესთან ერთად.

საკრებულოს წევრებმა, კითხვის დაზუსტების მიზნით, მიმართეს კახა კალაძეს.

ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, მოსწონს თუ არა კახა კალაძეს, რუსთაველის მეტროს უკან ლანდშაფტური მთის დაფარვა მშენებლობით.

კახა კალაძემ განაცხადა, რომ ქალაქის განვითარება არ ხდება თბილისის მერის გემოვნების მიხედვით და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს რა მოსწონს და რა არ მოსწონს მას, ქალაქს აქვს გენერალური გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება მისი განაშენიანება.

გიორგი ონიანი დაინტერესდა, რომელ საკალათბურთო გუნდებს დაეხმარა მერია ეკიპირებით და ასევე, ჩანაცვლებულია თუ არა ოქროყანის ფერდზე გამხმარი ხეები და იგეგმება თუ არა მომავალში ამის გაკეთება.

კახა კალაძემ განმარტა, რომ მერიისგან დახმარება მიღებული აქვს საკალათბურთო გუნდებს: „ჰიუნდაი“, „თბილისი ბასკეტი“, „ორბი“, „ბრუკლინ აკადემია“ და „სოხუმი“.

მამუკა გუგეშაშვილმა აღნიშნა, რომ ძალიან კარგია, როდესაც სხვადასხვა უბნებში კეთდება სტადიონები და იქიდან გამომდინარე, რომ სტადიონზე ბალახის დაგება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, თხოვნით მიმართა კახა კალაძეს, ტენდერის გამოცხადებისას, ყურადღება მიექცეს ამ საკითხს.

ზვიად კუპრავამ განაცხადა, რომ პასუხი არ მიუღია მესამე პრეზიდენტის ფარმაკოლოგიურ წამებასთან და „გაზპრომთან“ დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზე და ითხოვა აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა.

კახა კალაძემ აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილი იღებს იმ მედიკამენტებს, რაც მას დაუნიშნა პირადმა ექიმმა და შესაბამისად, მისთვის გაუგებარია რა ფარმაკოლოგიურ წამებაზეა საუბარი. „გაზპრომთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაზე განაცხადა, რომ ამის შემდეგ ჩვენ გავხდით უფრო დამოუკიდებლები, არ ვართ დამოკიდებული რუსულ გაზზე, შეიძლება უფრო მეტად აზერბაიჯანულზე და იმ მილსადენზე, რომლითაც საქართველოს ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ სატრანზიტო დერეფნიდან მიიღოს დამატებითი მოცულობები.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ პასუხი ვერ მიიღო ანტიკორუფციულ კომპონენტთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე.

ირაკლი ხმალაძემ განმარტა, რომ კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, წინასაარჩევნოდ გაცემული იქნა დაპირება და დამტკიცდება მომავალი წლიდან.

კახა კალაძემ კორუფციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვერავინ დაასახელებს ვერც ერთ ფაქტს, რომ ვინმემ რაღაცაზე თვალი დახუჭა ან არ გადაუდგავს შესაბამისი ნაბიჯი. მისი თქმით, როდესაც ადამიანი ჩაიდენს დანაშაულს, ამას ყოველთვის მოყვება რეაგირება და შესაბამისი პასუხი. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ „არასდროს შევეგუებით კორუფციას და ყოველთვის ვიქნებით ძალიან პრინციპულები... სხვანაირად შეუძლებელია... ჩვენ ვართ ის ხალხი, ვინც ღირსეულად ემსახურება ამ ქალაქს, ვინც ემსახურებოდა 2017 წლიდან და მომავლშიც ვაპირებთ ამ მიდგომას და ამ დამოკიდებულებას. ჩემი, როგორც მერის, როგორც

ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანის ყველაზე დიდი წარმატება და ბედნიერებაა, რომ ჩემი გადადგმული ნაბიჯებით, ჩემი განხორციელებული პროექტებით ვაბედნიერებ სხვას, ვეხმარებით უამრავ ადამიანს და მათ ვუბრუნებთ ბედნიერებას და სიხარულს".

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა კახა კალაძეს დასმულ კითხვებზე დეტალური განმარტებებისთვის და საკრებულოს სხდომაზე გამოაცხადა ათწუთიანი შესვენება, რის შემდეგაც რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს ოცდაცხრამეტმა წევრმა.

საკრებულოს წევრებმა, კახა კალაძის მოხსენებასთან დაკავშირებით, გააკეთეს შეფასებები.

ალექსანდრე რატიშვილმა მადლობა გადაუხადა კახა კალაძეს მის მიერ დასმულ კითხვებზე კომპეტენტური პასუხებისთვის, თუმცა, აქვე, განაცხადა, რომ თბილისი არის მილიონნახევრიანი ქალაქი, უზარმაზარი ინფრასტრუქტურით, სოციალური გარემოთი და შესაბამისად, მუდმივად იქნება კითხვები და პრობლემები. იმედი გამოთქვა, რომ თბილისის საკრებულოს და მთავრობის წევრები თანამშრომლობით, ერთობლივად, შეძლებენ დღეს ქალაქში არსებული პრობლემების მოგვარებას და დარბაზში დამსწრე საზოგადოებას წარმატებები უსურვა მომავალ საქიანობაში.

თორნიკე ბიკაშვილმა განაცხადა, რომ თბილისის საკრებულოში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წარმოდგენილია ცამეტი წევრით, თუმცა ეს არ არის ის რაოდენობა, რომელიც ასახავს მოსახლეობის რეალურ არჩევანს. მისი თქმით, კახა კალაძე, გარდა იმისა, რომ თბილისის მერია, არის „ქართული ოცნების" გენერალური მდივანი და მიმართა მას - „თქვენც აგებთ პასუხს იმაზე, რასაც ქართული ოცნება არჩევნების პერიოდში და არჩევნების შემდგომ პერიოდში ძალადობას, დაშინებას და მოსყიდვას აწარმოებს... ბათუმის საკრებულოში, როგორც მინიმუმ ერთი ადამიანით მეტი უნდა იყოს ოპოზიციიდან წარმოდგენილი და დღეს რომ ჩვენს გვერდით არ იმყოფება ნუგზარ ფუტკარაძე, ეს არის თქვენი ძალადობრივი მმართველობის დანაშაული. ის ადამიანი თავისი სიკვდილით არ გარდაცვლილა, ის მოკლა თქვენმა სისტემამ".

რევაზ სოხაძის თქმთ, სამწუხაროდ, დღევანდელმა დღემ დაანახა, რომ უმრავლესობისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ დარჩება კოლეგების არაკომპეტენტური დამოკიდებულება საქმისადმი და ისურვებდა, რომ კრიტიკა იყოს საფუძვლიანი და ფაქტებზე დამყარებული, რაც დღეს ვერ მოისმინა. განაცხადა, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გადაიდგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები, ქალაქში დაიწყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სატრანსპორტო და ურბანული მიმართულებები. მისი თქმით, ყველა რეფორმას, საზოგადოების მხრიდან, თან სდევს კრიტიკა, თუმცა ამან ხელისუფლების წარმომადგენლებს გამბედაობა არ უნდა დააკარგინოს და აუცილებელია ამ რეფორმების ბოლომდე მიყვანა, რადგან ეს არის ერთადერთი სწორი გზა, რომ ვიცხოვროთ ისეთ ქალაქში, როგორში ცხოვრების სურვილიც გვაქვს ყველას. რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია ქალაქის თანაბარი განვითარება და ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ თბილისის ყველა უბანში მცხოვრებმა ადამიანებმა თანაბრად იგრძნონ ის სიკეთეები, რასაც ქალაქის დღევანდელი ხელისუფლება ქმნის და იმედი გამოთქვა, რომ ამ მიმართულებით კიდევ უფრო მკვეთრი ნაბიჯები გადაიდგმება. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა საჯარო სექტორში შრომის ანაზღაურების გაზრდას და განაცხადა, რომ საჯარო სექტორში ხელფასების მატება მისასალმებელია, რადგან „ჯეროვნად ანაზღაურებული საჯარო მოხელე არის ჩვენი ქვეყნის და ქალაქის წარმატების ერთ-ერთი საწინდარი".

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა კარგად იციან, რის ხარჯზე მოიპოვეს არჩევნებში გამარჯვება და ამიტომ არ უნდა გაუკვირდეთ, მოსახლეობაში დარჩენილი კითხვები მათი მმართველობის ლეგიტიმაციასთან

დაკავშირებით. აქვე, გამოეხმაურა განცხადებას, რომ ყველაფერი კეთდება კანონიერად და აღნიშნა, რომ ზედაპირულად კანონიერად საქმის გაკეთება არ ნიშნავს, რომ პროცესი სწორად მიმდინარეობს, რისი მაგალითიც არის ის, რომ რიგ შემთხვევებში მოქალაქეებს წლების განმავლობაში უწევთ ბრძოლა თავისი უფლებებისთვის მაშინ, როდესაც მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიისთვის გადაწყვეტილება შეიძლება მიღებული იქნას საკმაოდ მცირე დროში.

გიორგი შარაშიძემ განაცხადა, რომ ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ წევრების მხარდაჭერა არ ექნება თბილისის მთავრობის წარმოდგენილ შემადგენლობას - გუნდს, რომელმაც ერთი მხრივ შეძლო ბევრი კარგი პროექტის განხორციელება დედაქალაქში, მაგრამ ამავე დროს, ვერ შეძლო ნამდვილი ევროპული სტანდარტის, კარგი მმართველობის უზრუნველყოფა, რადგან ჯერ კიდევ არსებობს კითხვები ბიუროკრატიის, ნეპოტიზმის, რესურსების არათანაბარი და არასამართლიანი განაწილების და, რაც ყველაზე მთავარია, კორუფციის შესახებ. მისი თქმით, დღეს გვაქვს ისეთი რეალობა, როდესაც ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობენ მხოლოდ შესრულებულ პროექტებზე და მეორე მხრივ, რადიკალური ოპოზიციური ჯგუფები საუბრობენ, რომ არც ინფრასტრუქტურის, არც სატრანსპორტო, არც სოციალური თუ სხვა მიმართულებებით არაფერი გაკეთებულა. მისი აზრით, სიმართლე არ არის არცერთ მხარეს, რადგან სამართლიანი არ იქნება იმის თქმა, თითქოს არაფერი კეთდება, თუმცა ეს არ არის თანამედროვე სტანდარტების ეფექტიანი მმართველობა და უნდა ითქვას ისიც, რომ, ჩვენი ხედვით, თბილისი გაცილებით მეტს იმსახურებს, ვიდრე დღეს გვაქვს. თბილისელები ხედავენ ახალ სტადიონებს, სკვერებს და ეს მოსწონთ, თუმცა მათ წარმოდგენა არ აქვთ რამდენად ძვირი ჯდება იმ ბიუროკრატიის შენახვა, რომელიც ემსახურება ამ პროექტების მენეჯმენტს. საუბრის ბოლოს, გიორგი შარაშიძემ გააჟღერა ინფორმაცია, რომ სულ მალე, ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ საკრებულოს წარუდგენს ინიციატივას ანტიკორუფციული დროებითი კომისიის შექმნასთან დაკავშირებით, რომლის მიზანი იქნება თბილისის მმართველობაში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის, კორუფციის რისკების პრევენციის ეფექტიანი და ქმედითი ანტიკორუფციული სისტემის დანერგვა და იმედი გამოთქვა, რომ ამ ინიციატივას ექნება მხარდაჭერა.

მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ მხარდაჭერას არ იმსახურებს ის გუნდი, რომელმაც: ხიზანიშვილი-ვეკუას რეაბილიტაციის პროექტი განახორციელა ისე, რომ იქ მოწყობილი ველობილიკით ვერავინ სარგებლობს, რადგან გზის დახრილობა იმდენად სერიოზულია, რომ ველოსიპედით გადაადგილებას სჭირდება ძალიან კარგი ფიზიკური მომზადება. ამასთანავე, ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული ველობილიკის და საავტომობილო გზები, რაც სერიოზულ საფრხეს წარმოადგენს. ყველაზე ხალხმრავალ ადგილებში, ტროტუარები დავიწროვდა ერთ მეტრამდე. შეუძლებელი გახდა ტაქსით სარგებლობა და გზის გასწვრივ არსებული ბიზნესი გაკოტრდა; ვარკეთილის მეტროსთან დაკავშირებით, იქ მომხდარი ინციდენტიდან სამი წლის შემდეგ, აკეთებს განმარტებას - „ვსწავლობთ და მალე დავასრულებთ პროექტს“; მაშინ, როდესაც მეტროსადგურ „გოცირიძის“ ბაქანის რეაბილიტაცია უკვე თვეებია მიმდინარეობს, აცხადებს, რომ პროექტის დასრულება შესაძლებელია მოხდეს თვეების შემდეგ.

ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ სამწუხაროდ, დღეს ვერ შედგა ის ურთიერთობა, რასაც თბილისის მოსახლეობა ელოდა, რადგან ვისმენთ შეურაცხყოფებს. მისი თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლები ქალაქის მერისთვის შეურაცხყოფის მიყენებით, შეურაცხყოფას აყენებენ საკუთარ თავს და იმ ასიათასობით ამომრჩეველს, რომელმაც არჩევნებზე მხარი დაუჭირა კახა კალაძეს. განაცხადა, რომ „ჩვენ აქ ვართ სამუშაოდ“ და კოლეგებს თანამშრომლობის და ჯანსაღი ოპონირებისკენ მოუწოდა.

მამუკა გუგეშაშვილმა აღნიშნა, რომ 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს მხარი დაუჭირა 70000-მა ამომრჩეველმა და კახა

კალაძემ უპრობლემოდ, პირველივე ტურში, გაიმარჯვა, ხოლო 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს მხარი დაუჭირა 206000-მა ამომრჩეველმა და კახა კალაძეს გამარჯვებისთვის დასჭირდა მეორე ტური, რაც იმას ნიშნავს, რომ საგრძნობლად გაზრდილია ოპოზიციის მხარდამჭერი ამომრჩევლის რაოდენობა, რაც, თავისთავად, გამოწვეულია ხელისუფლებაზე უკმაყოფილებით და მხოლოდ იმის თქმა, რომ კახა კალაძე კარგი კაცია და კორუმპირებული არ არის, არ კმარა.

ირაკლი ხელაძის თქმით, ის, რომ თბილისის 2022 წლის ბიუჯეტი იქნება ისტორიულ ნიშნულზე, გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ სრულყოფაში მოვა „ქართული ოცნების“ საარჩევნო სლოგანი „მეტი სიცოცხლე ყველა უბანში“. აქვე, თხოვნით მიმართა მერიის საქალაქო სამსახურების უფროსების თანამდებობებზე წარდგენილ კადიდატებს, რომ რაიონული გამგეობებიდან შესულ პრობლემატიკას მიაქციონ დიდი ყურადღება და განაცხადა, რომ „დარწმუნებული ვარ, მომდევნო ოთხი წელი იქნება ბევრად უფრო შედეგიანი და ეფექტიანი“.

ზვიად კუპრავამ გაიხსენა 2018 წელს კახა კალაძის მიერ მისი მისამართით გაკეთებული განცხადებები, სადაც ის აპელირებდა ზვიად კუპრავას წარსულზე, სავარაუდოდ მხედველობაში ჰქონდა 2008-2013 წლები, როდესაც ის მუშაობდა საპატრულო პოლიციაში და საუბარი ჰქონდა მის ე.წ. „ზონდერობაზე“ და მიმართა კახა კალაძეს, რომ მაშინ ან იცრუა, ან არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს და შეცდომაში შეიყვანეს, რადგან საპატრულო პოლიციაში მუშაობის პერიოდში, არც ერთ მიტინგზე მონაწილეობა არ მიუღია. კახა კალაძემ უპასუხა ზვიად კუპრავას, რომ ვერ იხსენებს ამ კონკრეტულ შემთხვევას, თუმცა, თუ რაიმე შეცდომით აქვს ნათქვამი ან არასწორი ინფორმაცია ჰქონდა, ბოდიშის მოხდის არ შერცხვება, რაზეც ზვიად კუპრავამ განაცხადა, რომ კახა კალაძის ეს სიტყვები მეტყველებს მის პერსონალურ სიკეთეზე და მიმართა მას - „ამ შემთხვევაში, თქვენ ჩემ თვალში ღირსეულად გამოიყურებით. მადლობა ამისთვის“.

ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა, რომ მათ, ვინც წლების განმავლობაში ჩართული იყო ბიუჯეტირების პროცესში და ემსახურებოდა ქალაქს, ერთმნიშვნელოვნად შეუძლიათ თქვან, რომ ქალაქი ძალიან დინამიურად ვითარდება და ამას ვერაფრით ექნება უკუსვლა. მისი თქმით, სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით დაფინანსების გაზრდა 30 მილიონამდე, უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან ამ კუთხით არსებული პროექტები არის ყველაზე საჭირბოროტო ჩვენი თანამოქალაქეებისთვის. ასევე, განაცხადა, რომ სოციალურად დაუცველი პენსიონერებისთვის მედიკამენტებისთვის განკუთვნილი 500 ლარიან ვაუჩერი არის გამგეობებში არსებული 1500 ლარიანი შემწეობის პროგრამის დამატებითი სტიმულირება. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ დღევანდელი ხელისუფლების პირობებში უმნიშვნელოვანესი საქმე გაკეთდა და კეთდება „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობით და კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ადამიანებისთვის და განაცხადა, რომ „უსახლკაროების ცნებას ჩვენ ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად დავასრულებთ“.

ნინო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ კახა კალაძეს, როგორც ლეგიტიმურ მერს, არ აღიარებს, თუმცა, რადგან ამ ქალაქის მკვიდრია და ამ ქალაქით ცხოვრობს, მაინც არ უხარია იმის თქმა, რასაც აპირებს და მიმართა მას, რომ ვერ მოიწონებს ვერც მის სიტყვას და ვერც გუნდის წარმომადგენლობას. მისი თქმით, გუნდის ჩამოყალიბებისას, მხოლოდ კომპეტენცია არ არის მთავარი. პროფესიონალიზმი, ამავდროულად, მოიცავს კეთილსინდისიერებასაც და 2017 წლიდან დღემდე, კახა კალაძის და მისი გუნდის საქმიანობაში ამ მიმართულებით მას აქვს გარკვეული კითხვები. ნინო კვიტაიშვილისთვის გაუგებარია, რატომ გვხვდება ირგვლის ამდენი სიღატაკე თუ ამდენი შრომაა გაწეული ამ ქალაქისთვის და დაინტერესდა, კახა კალაძემ და მისი გუნდის წევრებმა ბოლოს როდის იმგზავრეს საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ნახეს თუ არა ქუჩებში თვითდასაქმებული ბავშვების სიმრავლე, განსაკუთრებით კოვიდ პანდემიის პერიოდში. ფიქრობს, რომ ამ დროს ქალაქის მერს

„ვარდისფერი სათვალე უკეთია“ ან არ უნდა ამის დანახვა და სწორედ ამიტომ უნდა თქვას: „მე, ერთი რიგითი თბილისელი, ერთი მოქალაქე, ერთი პოლიტიკოსი, გპირდებით, რომ არ მოგცემთ არც ერთ შესაძლებლობას აკეთოთ საქმე ისე, როგორც ეს იყო თქვენთვის ჩვეული - ნეპოტიზმის და კორუფციის ჩართვით“.

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ დღეს საკრებულო ამტკიცებს თბილისის მთავრობას, რომელმაც, საკრებულოსთან ერთად, უნდა იზრუნოს ჩვენს ქალაქზე და ფიქრობდა, რომ ოპონენტებთან ერთად, ისაუბრებდა თბილისისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, თუმცა ეს ასე არ არის, რადგან ოპოზიციონერი კოლეგების ნაწილი ვითომ ზრუნავს მოხუცებზე, ხოლო ნაწილი - ძაღლების უფლებების დაცვაზე. განაცხადა, რომ წინა მოწვევის საკრებულოში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს არასდროს მხარი არ დაუჭერიათ დედაქალაქისთვის სასიკეთო არცერთი გადაწყვეტილებისთვის. მისი თქმით, ისინი „ბოიკოტის რეჟიმში უდგანან ქალაქს, რომელშიც მათი ამომრჩევლები ცხოვრობენ“ და განაცხადა, რომ წლების შემდეგ, როდესაც თბილისის საკრებულოში არ იქნებიან არც დღევანდელი ხელისუფლების და არც ოპოზიციის წარმომადგენლები, ალბათ გული დაწყდებათ, რომ არცერთ იმ გადაწყვეტილებაში არ ექნებათ წვლილი შეტანილი, რომელმაც დედაქალაქი აქცია უფრო მწვანე, განვითარებულ, ლამაზ და ევროპულ სტანდარტებს მორგებულ ქალაქად.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებისგან განსხვავებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არასდროს საუბრობენ სიძულვილის ენით და კახა კალაძემ თუ ვინმეს უნდა მოუწოდოს კოსტრუქციულობისკენ და პოლარიზაციის დასრულებისკენ, ეს, პირველ რიგში, მისი თანაგუნდელები არიან. ლილე ლიპარტელიანის თქმით, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა ზეწოლის, შანტაჟის, მოსყიდვის, ადამიანებზე ფიზიკური თავდასხმის და სხვა მრავალი კანონდარღვევის ფონზე და განაცხადა, რომ ასე ჩატარებულ არჩევნებს ყოველთვის მოიგებ.

კონსტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ კახა კალაძეს ზურგს უმაგრებს ის ძალიან ბევრი გაკეთებული საქმე, რომელსაც თბილისის მოსახლეობა კარგად ხედავს და დღეს წარმოდგენილი მთავრობის შემადგენლობა არის ძალიან ძლიერი გუნდი, რომელსაც მადლობა გადაუხადა გასულ წლებში გაწეული საქმიანობისთვის და განაცხადა, რომ ძალიან ეამაყება იმ საერთო საქმეში მონაწილეობის მიღება, რომელსაც თბილისის საკრებულო და მერია ერთობლივად განახორციელებს მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ მოსწონს თუ არა ეს ვინმეს, ყოველთვის, როდესაც საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე საჭირო იქნება ან დავინახავთ, რომ დედაქალაქის მაცხოვრებლების ინტერესების საზიანოდ მძლავრობს კორუფციული ინტერესი, გავაჟღერებთ შესაბამის პოლიტიკურ-სამართლებრივ შეფასებებს და მიმართა კახა კალაძეს - „მე მიმაჩნიხართ თქვენ, ამ ქალაქის ისტორიაში, ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ მერად და მოგიწევთ ამის ატანა. თუ არ მოგწონთ, დავაფუძნოთ ერთობლივად ანტიკორუფციული კომისია, მობრძანდით, გაეცით კითხვებს პასუხი და დაესმება წერტილი ამ ყველაფერს“. საბა ბუაძემ განაცხადა, რომ არსებობს ციფრები, რომელსაც ვერავინ აურყოფს და ამ ციფრების მიხედვით, კახა კალაძის მერობის პირობებში 31000-ით არის გაზრდილი საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა, ბოლო სამი წლის განმავლობაში, მაქსიმუმზე არის ასული უმუშევრობის რაოდენობა და ხუთიდან ერთი შრომისუნარიანი თბილისელი არის უმუშევარი, ბოლო წლებში განხორციელებული ინვესტიციები არის ისტორიულ მინიმუმზე და ამ ყველაფერს აქვს თავისი ლოგიკური ახსნა - კახა კალაძეს არ გააჩნია კვალიფიკაცია, მართოს ეს ქალაქი, რაც დაადასტურა წინა ოთხი წლის განმავლობაში და არ გააჩნია არც კეთილსინდისიერება. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ სურს დადგეს ყველაფერზე მაღლა და მიმართა კახა კალაძეს - „წარმატება მინდა გისურვოთ თქვენ და თქვენს გუნდს თბილისელების საკეთილდღეო საქმის კეთებაში, იმიტომ, რომ, ყველა შემთხვევაში, მეც და

თითოეულ აქ მყოფ ადამიანს სჭირდება თქვენი წარმატება იმიტომ, რომ თქვენი წარმატება არის თბილისელების წარმატება“.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ ის რაც დღეს საკრებულოს სხდომაზე ხდება, არ არის არც ოპონირება, არც არგუმენტირება და არც ურთიერთობის რაიმე ფორმა, ეს არის დესტრუქცია და ძალადობა, როგორც საკუთარი კოლეგების, ასევე, ყველას მიმართ და კონსტრუქციულობისა და საქმიანი თანამშრომლობისკენ მოუწოდა ოპოზიციონერ კოლეგებს. აქვე აღნიშნა, რომ თბილისში, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, განხორციელდა ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები, რასაც ხედავს თითოეული ჩვენგანი და თუ საკრებულოს ოპოზიციონერ წევრებს სურთ ქალაქის სასარგებლოდ მუშაობა, მათ აქვთ და ექნებათ ამის საშუალება.

გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ საკრებულო არის წარმომადგენლობითი ორგანო და არავის უნდა გაუკვირდეს აქ პოლიტიკური ნარატივით საუბარი იმ პრობლემებთან ერთად, რომლებიც ქალაქს აწუხებს. ასევე, არავის უნდა უქმნიდეს დისკომფორტს, ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის მხრიდან, პოლიტიკური განცხადების გაკეთება.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ქართულმა საზოგადოებამ გააკეთა გონივრული არჩევანი და ნდობა გამოუცხადა „ქართულ ოცნებას“ და კახა კალაძეს, რისთვისაც მადლობა გადაუხადა „ქართული ოცნების“ თითოეულ მხარდამჭერს. მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობა აირია დროსა და სივრცეში“, რადგან გაუგებარია როგორ აძლევენ თავს უფლებას ისაუბრონ წამებაზე და კორუფციაზე მაშინ, როდესაც მათი მმართველობის პერიოდში აწამეს ათასობით ადამიანი, ხოლო თბილისის მაშინდელი მერი გასამართლებულია კორუფციის ბრალდებით. გიორგი ჩაკვეტაძემ ისაუბრა თბილისის მთავრობის წარმოდგენილ შემადგენლობაზე და განაცხადა, რომ ისინი არიან ადამიანები, რომლებიც, მათ შორის, პანდემიის პერიოდში, ეხმარებოდნენ ძალიან ბევრ ოჯახს, რომლებმაც თბილისის ბიუჯეტი ისტორიულ ნიშნულზე აიყვანეს, რომლებმაც, მეექვსე მოწვევის საკრებულოსთან ერთად, ისტორიული გენ.გეგმის მიღებაში თავისი წვლილი შეიტანეს და წარმატებები უსურვა მათ. საუბრის ბოლოს, განაცხადა - „დარწმუნებული ვარ, სიცოცხლით სავსე ქალაქის ისტორიის დაწერა გაგრძელდება და ამაში თითოეული ჩვენგანი თავის წვლილს შეიტანს“.

ნინო რუხაძემ თბილისის მთავრობის მომავალ შემადგენლობას წარმატებები უსურვა და განაცხადა, რომ, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, თბილისი და თბილისელები იქნებიან საიმედო ხელში, რისი თქმის საშუალებასაც აძლევს ის, რაც მოისმინა დღეს საკრებულოს სხდომაზე. კერძოდ: რეალობის, პრობლემების და საჭიროებების ადეკვატური შეფასება და მათი გადაჭრის გზები; კარგად გააზრებული და დაგეგმილი კონკრეტული პროგრამები, ხედვები და პროექტები, რომლებიც ეხება თბილისისა და თბილისელების საჭიროებებს; მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ ერთობლივად ვიმუშაოთ ისეთი საკითხების გადაწყვეტაზე, რომლების მოგვარებასთან დაკავშირებითაც ამ ეტაპზე არ არსებობს კონკრეტული გეგმა. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ თუ ჩვენ მხარს ვუჭერთ კახა კალაძის მიერ წარმოდგენილ გუნდს, ჩვენ მხარს ვუჭერთ თბილისელების არჩევანს, ხოლო თუ არ ვუჭერთ მათ მხარს, ეს არის თბილისელების იგნორირება.

შალვა ოგბაიძემ ისაუბრა ბოლო ოთხ წელიწადში საბავშვო ბაღების და სატრანსპორტო მიმართულებით განხორციელებულ რეფორმაზე და განაცხადა, რომ ორივე მიმართულებით გადადგმული იქნა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები, რომლების საფუძველზეც რამდენიმე საბავშვო ბაღში შექმნილია ევროპული საბავშვო ქალაქი და ყოველი ახალი ბაღი მოეწყობა მსგავსი სტანდარტით, ხოლო ტრანსპორტის მიმართულებით განხორციელებული რეფორმა ჩვენი თანამოქალაქეებისთვის არის უპრეცედენტო მხარდაჭერა.

გურამ ოქროპირიძემ განაცხადა, რომ მისასალმებელია იმ ოპოზიციონერი კოლეგების ქმედება, რომლებიც ჩაერთნენ საგნობრივ მსჯელობაში, ხოლო მათგან, ვინც აირჩიეს დესტრუქციული

რეჟიმი, ვერ მოვისმინეთ დედაქალაქის განვითარების ალტერნატიული ხედვა და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში, ოპონირება იქნება შინაარსობრივი და საქმიანი. საუბრის ბოლოს, კახა კალაძეს და მის გუნდს წარმატება უსურვა ევროპული ტიპის ქალაქის აღმშენებლობაში.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ თბილისის მთავრობის წარმოდგენილი შემადგენლობა არის კომპეტენტური გუნდი, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი და სწორი გადაწყვეტილებების მიღება. უნდა შევთანხმდეთ, რომ მოსახლეობა არ იყოფა „ჩემ ამომრჩევლად და შენ ამომრჩევლად", ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ყველას წინაშე და აქედან გამომდინარე, მსგავსი დაყოფა არ არის გზა შემდგომი თანამშრომლობისკენ. აქვე განაცხადა, რომ მიუღებელია კორუფციული გარიგება უწოდო „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული ოჯახების დაბინავებას და ე.წ. „ხრუშჩოვკების" ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში ვარკეთილის მესამე მასივში მშენებლობის პროექტს, რომელზეც გამოცხადებული იყო ინტერესთა გამოხატვა და ითხოვა, რომ, როდესაც საუბარია მსგავს სენსიტიურ თემებზე, გაითვალისწინონ ის მოქალაქეები, რომლებსაც ეხება ესა თუ ის კონკრეტული პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ თანმიმდევრობით დააყენა კენჭისყრაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე ირაკლი ხმალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ირაკლი ბენდელიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ილია ელოშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსი) თანამდებობაზე ვლადიმერ ჭიღლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვახტანგ ლომჯარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე კახაბერ გულედანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი აბუთიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე სერგო ბირკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გაიოზ თალაკვაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი პაპავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გელა ჩივიაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭონქაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით უთმელიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ვლადიმერ ძნელაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კვინიკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ნიკა ელისაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბექა მიქაუტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კირკიტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ირაკლი ანდღულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე გაიოზ ვასაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 25 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი